ქალაქ თბილისის
საკრებულო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
VII მოწვევის საკრებულოს წევრის,
განათლებისა და კულტურის კომისიის
თავმჯდომარის, ისნის რაიონის მაჟორიტარის,
თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნება –
დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრის
კახაბერ ლაბუჩიძის
2022-2023 წ.წ ანგარიში

ს ა რ ჩ ე ვ ი

კომისიის თავმჯდომარის მიმართვა 4

კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობები (ზოგადი მიმოხილვა) 5

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის აქტივობა 6

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული სხდომების სტატისტიკა 6

კახაბერ ლაბუჩიძის, როგორც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრის საქმიანობის ანგარიში 9

თბილისის საკრებულოს სხდომების სტატისტიკა 9

ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა 10

უცხოური პრაქტიკის გაზიარება - ვიზიტი საზღვარგარეთის ქვეყნებში 11

კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მონიტორინგი 14

- მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რეაბილიტაცია 14
- დიღმის მასივსა და გლდანის რაიონში მდებარე ბიბლიოთეკების სარეაბილიტაციო სამუშაოები 14
- ინტერნაციონალური მაარიფის სკოლების ახალი სასწავლო კამპუსი 14
- ახალი ბაღების მშენებლობა 15
- სამგორში მდებარე N130 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის გახსნა 15
- ქალაქ თბილისის №163-ე საჯარო სკოლის დათვალიერება 16

კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები 17

- აკაკი ბაქრაძის სახელობის მე-18 ბიბლიოთეკას სრული რეაბილიტაცია 17
- ღონისძიება „აფხაზეთი - მეხსიერების მუზეუმი“ 18
- საპატიო თბილისელების დაჯილდოების ცერემონია 19
- ახლადგამოცემული წიგნების პრეზენტაცია 19
- საკრებულოში „60+ კლუბის“ წევრების ნამუშევრების გამოფენა 20
- მხატვარ ბასე ჯაფაროვას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება 20
- ჰოლოკოსტის დღესთან დაკავშირებით გამართული კონფერენცია 20
- შეხვედრა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტებთან 20
- სკოლის მოსწავლეების ვიზიტი საკრებულოში 21
- საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში MAGIS ოლიმპიადის დაჯილდოების ცერემონიალი 21
- მუზეუმების საერთაშორისო დღე 21
- გენო კალანდიას მემორიალური დაფის გახსნა 22
- ქართულ-ებრაული მეგობრობის ხეივანი 22
- ლიტერატურული კონკურსი „ვილაპარაკოთ აფხაზეთზე“ 22
- ლიტერატურული კონკურსი „ვწერ თავისუფალ თემას“ 23
- "ჯეო სქაი სქულ"-ის ახალი შენობის მშენებლობა 23
- საერთაშორისო კონფერენცია „არაფორმალური განათლების გამოწვევები“ 23
- “ნოვრუზის” დღესასწაული 24

- მშობლიური ენის საერთაშორისო დღე თბილისის საკრებულოში 24
- ოკუპაციის დღე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში 25
- თბილისის ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალი 25

განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივები 26
- პროექტი „ოპერა შენს ეზოში“ 26
- სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმი საკრებულოს ისტორიულ შენობაში განთავსდება 26

სკოლის სახელდება 27

მემორიალური დაფები 28

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული საბჭო და კომისიები 29

კორესპონდენცია და მოქალაქეთა მიღება 29

კახაბერ ლაბუჩიძის, როგორც ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრის საქმიანობის ანგარიში 29

კომისიის თავმჯდომარის მიმართვა

2021 წლის 3 დეკემბრიდან თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას ვხელმძღვანელობ. რამდენადაც რთულია, იმდენად საპატიოა იმ კომისიაში საქმიანობა, სადაც არა ერთ საინტერესო ინიციატივებს ჩაეყარა საფუძველი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია:

- თბილისის მერიის და საკრებულოს ერთობლივი გადაწყვეტილებით, თბილისის სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმი საკრებულოს ისტორიულ შენობაში განთავსდება. მუზეუმს შემეცნებითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დატვირთვა ექნება, როგორც ახალგაზრდა თაობისთვის, ისე დედაქალაქის სტუმრებისათვის;
- თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანებასთან ერთად დავაფუძნეთ „წლის მკითხველის“ წოდება და დეკემბრის ბოლოს დაჯილდოვდებიან საუკეთესოები. ამ ინიციატივას აქტიურად დაუჭირა მხარი საგამომცემლო სექტორმა;
- ქართული სამუზეუმო კულტურის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დავაწესეთ ჯილდო, რომელიც მიზნად ისახავს იშვიათი, ნოვატორული ხედვის დიზაინერების დაჯილდოებას;
- დავაფუძნეთ ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალი, რომლის მიზანია თბილისის ბავშვთა ფოლკლორული (კერძო და არასახელმწიფო დაფინანსების ქვეშ მყოფი) გუნდების მოტივაცია, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; წელს ფესტივალი მეორედ, უფრო მასშტაბურად განხორციელდება. ფესტივალის ფარგლებში გამოვლინდებიან გამარჯვებულები ნომინაციებში: საუკეთესო გუნდი, სოლისტი, ლოტბარი, დუეტი, აღდგენილი სიმღერა, საუკეთესო ტრიო, ავთენტურობის ნიშნით გამორჩეული გუნდი, მგალობელთა გუნდი და ქალაქური ფოლკლორის შემსრულებელი ანსამბლი;
- „ოპერა შენს ეზოში“ - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის 170-ე საიუბილეო წელს მიეძღვნა. პროექტის მიზანია, ქალაქის თითოეული უბნის მცხოვრებს შესაძლებლობა მიეცეს, თავისი უბნის სკვერში/ეზოში ეზიაროს საოპერო ხელოვნებას;
- სსიპ N32-ე საჯარო სკოლისთვის მოხდა აფხაზეთის ომის გმირის, ბაბუშერას აეროპორტში დაღუპული, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსნის, ბესარიონ კივილაძის და სამაჩაბლოს ომში დაღუპული კაპიტნის, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსნის ალექსანდრე თანდაშვილის სახელის მინიჭება. ქალაქ თბილისის N30-ე საჯარო სკოლას, ქართველი მწერლის, გურამ რჩეულიშვილის სახელი მიენიჭა;
- განათლების და კულტურის კომისიის უშუალო ჩართულობით, გოჩა ჩოგოვაძის, ვლადიმერ შარვაშიძის, გია ყანჩელის, ჯემალ ცერცვაძის, ალბერტ თავხელიძის, ლავრენტ ჩხარტიშვილის, არამ ხაჩატურიანის მემორიალური დაფების განთავსების საკითხზე ვიმსჯელეთ;
- კომისიის უშუალო ინიციატივით, 20-ზე მეტი ფართომასშტაბიანი, კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიება ჩატარდა.

კახაბერ ლაბუჩიძე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრის, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრის, თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის და ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრის კახაბერ ლაბუჩიძის 2022-2023 წ.წ ანგარიშს.

კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობები (ზოგადი მიმოხილვა)

საანგარიშო წლის პერიოდში დაფინანსდა საერთაშორისო ღონისძიებები (ESU; Eurodesk), სტუდენტური და თეატრალური ფესტივალები, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე და სხვა.

წარმატებით განხორციელდა სტუდენტთა სწავლის დაფინანსების პროგრამები. 2023 წელს, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 1256 სოციალურად დაუცველი სტუდენტი, 412 წარმატებული მაგისტრანტი, ხოლო მრავალშვილიანი ოჯახიდან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტიდან, 740-მა მიიღო თბილისის მერიის სტიპენდია.

კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში 180-ზე მეტი პროექტი დაფინანსდა, 35 საიუბილეო და შემოქმედებითი საღამო, 35-მდე ფესტივალი და კონკურსი; დაფინანსდა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული 10-მდე პროექტი, გამოფენები და კონცერტები.

2023 წელს, პროგრამის „შემოქმედებითი თბილისის“ ფარგლებში დაფინანსდა 15 საგამომცემლო, 2 ვიზუალური ხელოვნების და 9 დიზაინის და რეწვის მიმართულების პროექტი. მიმდინარე წელს, მედია-ხელოვნების პროექტებისთვის მიღება გამოცხადდა, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა 17 პროექტი.

„ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობის“ (08 13) ფარგლებში დაფინანსდა 11 პროექტი. დაფინანსდა „ლივინგ მუზეუმი თბილისი“, რომელიც სხვადასხვა დამოკიდებულებითი მდგომარეობის მქონე მოზარდთა რეაბილიტაცია-პრევენციას ისახავს მიზნად.

ამასთან, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“ 2018 წლიდან წარმატებულად ხორციელდება. 2023 წელს, პროგრამით დარეგისტრირდა 3008 მოქალაქე.

აქტიურად მიმდინარეობს კულტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ:

• ილია ჭავჭავაძის თბილისის სახლ-მუზეუმის სრული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;

• მერაბ კოსტავას მუზეუმის სრული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;

• ბიბლიოთეკების კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;

• სხვადასხვა საჭიროებები დაუფინანსდა 16 სახელოვნებო სკოლას;

• სახელოვნებო სკოლებში არამოთხოვნად სპეციალობებზე დაფინანსდა 745 მოსწავლე;

• მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე 660 მოსწავლეს დაუფინანსდა სწავლის საფასური;

• მუზეუმების გაერთიანებამ მიიღო BP-ის გრანტი 200 000 ა.შ.შ დოლარის ოდენობით. გრანტის ფარგლებში აღიჭურვა ამიერკავკასიაში პირველი სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორია, მომზადდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის აუდიო გიდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის აქტივობა

თბილისის საკრებულოს წევრი კახაბერ ლაბუჩიძე, 2021 წლის 03 დეკემბრიდან დღემდე არის თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

საანგარიშო წლის პერიოდში, არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა თუ პროექტი განხორციელდა.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული სხდომების სტატისტიკა

განათლებისა და კულტურის კომისიამ, საანგარიშო პერიოდში გამართა 14 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 24 საკითხი.

სხდომების სტატისტიკა და განხილული თემატიკა:

1. 18.11.2022; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: N12-03223196103);

2. საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" (ს/ნ 402176943) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა (წერილი: 12-032231425-03; 10.11.2022).

2. 24.11.2022; დღის წესრიგი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის №32-ე საჯარო სკოლისთვის ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

3. 22.12.2022; დღის წესრიგი:

1. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის 19/032234158-03; 07.12.2022 განხილვა (გოჩა ჩოგოვაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ).

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: 12-032234375-03; 09.12.2022).

4. 26.01.2023; დღის წესრიგი:

1. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის 06/0322364100-03; 30.12.2022 განხილვა (არამ ხაჩატურიანის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ).

5. 20.02.2023; დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: №12-03230451-03; 14.02.2023).

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის” დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: №12-032304146-03; 10.02.2023).

6. 17.03.2023; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (საფუძველი: წერილი №12-032307237-03; 13.03.2023).

2. ვლადიმერ შარვაშიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (საფუძველი: წერილი: №19/032306196-03; 02.03.2023).

7. 10.04.2023; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (N12-032305945-03; 28.02.2023) განხილვა.

2. სსიპ ქალაქ თბილისის №30-ე საჯარო სკოლისთვის გურამ რჩეულიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ (წერილი: №04-032309556-03 05.04.2023).

8. 18.05.2023; დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (წერილი: №12-032313081-03; 10.05.2023) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნები ფონდის“ (ს/ნ405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების

თაობაზე“ (წერილი N12-032311784-03; 27.04.2023) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განხილვა.

9. 22.06.2023; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა” (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საფუძველი: წერილი №12-0323170122-03; 19.06.2023წ.).

10. 29.06.2023; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი №12-0323170121-03; 19.06.2023).

2. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი №12-0323179137-03; 28.06.2023).

11. 20.07.2023; დღის წესრიგი:

1. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის 19/03231949-03; 13.07.2023 განხილვა (გია ყანჩელის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ);

2. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის 10/032317252-03; 21.06.2023 განხილვა (ალბერტ თავხელიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ);

3. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის 19/032319480-03; 13.07.2023 განხილვა (ლავრენტი ჩხარტიშვილი მემორიალური დაფის ხელახალი განთავსების შესახებ).

12. 24.08.2023; დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ანგარიშის მოსმენა.

13. 21.09.2023; დღის წესრიგი:

1. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა (წერილი №19/032326222-03; 19.09.2023 ჯემალ ცერცვაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ).

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: №12-032326258-03; 19.09.2023).

14. 19.10.2023; დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის „ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების 2023 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

კახაბერ ლაბუჩიძის, როგორც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრის საქმიანობის ანგარიში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა 19 სხდომა და განხილულ იქნა 492 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში - 2022 წლის 4 ნოემბრიდან - 2023 წლის 22 სექტემბრის სხდომების ჩათვლით, კომისიის წევრი კახაბერ ლაბუჩიძე დაესწრო 18 სხდომას და ჯამურად განიხილა 458 საკითხი.

თბილისის საკრებულოს სხდომების სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში გაიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 და ბიუროს 19 სხდომა; მიღებულ იქნა 615 განკარგულება და 105 დადგენილება, რომლის შედეგად, დედაქალაქში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება განათლებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა უზრუნველყოფის, ურბანული დაგეგმარების, გარემოს, ტრანსპორტის, ეკოლოგიისა და გამწვანების, სპორტის და სხვა პრიორიტეტების მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“, რომლის წევრიც არის კახაბერ ლაბუჩიძე, ჩაატარა 18 სხდომა და განიხილა 26 საკითხი, საიდანაც კახაბერ ლაბუჩიძემ მონაწილეობა მიიღო ფრაქციის 15 სხდომაში და განიხილა 22 საკითხი.

ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, დედაქალაქის მასშტაბით, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობასა და სისტემაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგს.

თბილისის მასშტაბით 188 საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს, სადაც დასაქმებულთა რაოდენობაა 11 729. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო სერვისებით სარგებლობს 53001 აღსაზრდელი.

2023 წლის მდგომარეობით, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა №2, №71, №89, №192, №198 საჯარო ბაღებს. მშენებლობის ეტაპზეა 8 ბაღს. ამასთან, №125 და №130 საჯარო ბაგა-ბაღები დაინგრა და ხელახლა აშენდა. ასევე, აშენდა №108 საჯარო ბაღი (სრულიად ახალი შენობა).

უცხოური პრაქტიკის გაზიარება - ვიზიტი საზღვარგარეთის ქვეყნებში

I. საანგარიშო წლის პერიოდში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე, ისნის რაიონის გამგებელთან ნიკა ელისაშვილთან და გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, სამუშაო ვიზიტით ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში იმყოფებოდა.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა პრაღა-კბელის მუნიციპალიტეტის შენობაში, ქალაქ პრაღის რაიონის, პრაღა-კბელის მერთან, პაველ ჟდარსკისთან და პრაღის საკრებულოს კულტურული კომიტეტის თავმჯდომარესთან ჟან ვულფისთან.

ვიზიტის მონაწილე მხარე დაესწრო მემორანდუმის გაფორმების ოფიციალურ ცერემონიას, რომელიც ორ რაიონს შორის გაფორმდა და ითვალისწინებს კულტურულ, საგანმანათლებლო, ბავშვთა და ხანდაზმულთა მიმართულებით ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, თბილისის საკრებულოს და გამგეობის წარმომადგენლებს უმასპინძლა ჩეხეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, თეა მაისურაძემ. მისი მიწვევით იმყოფებოდნენ საზეიმო ღონისძიებაზე, რომელიც საქართველო-ჩეხეთის დიპლომატიის 30-წლიან ურთიერთობებს მიეძღვნა.

II. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე და საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე, საანგარიშო წლის პერიოდში, სამუშაო ვიზიტით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში, გერმანიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ლევან იზორიასთან შემაჯამებელი შეხვედრა გამართეს. დელეგაციის წევრებმა კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებზე, ჯანდაცვის სფეროში არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე ისაუბრეს, ასევე სამომავლო გეგმები დასახეს წარმატებული რეფორმების მოდელების გაცვლასთან დაკავშირებით.

ქართულმა მხარემ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პატიმრებისთვის საჩუქრად ჩაიტანა თანამედროვე ქართულენოვანი მხატვრული ლიტერატურა. ამ წიგნების პატიმრებისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს საქართველოს საელჩო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

U: KLAVIERAUSZÜGE

Městská část Praha 19
MĚSTSKÁ ČÁST PRAHA 19

- მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რეაბილიტაცია

რუსთაველის №6-ში მდებარე შენობა ერთ-ერთი გამორჩეული ნაგებობაა, როგორც ისტორიული, ისე არქიტექტურული თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ გადაწყდა ფართომასშტაბიანი სარემონტო და სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება.

რეაბილიტაციის პარალელურად, ეროვნულ სასახლეში მნიშვნელოვნად დაიხვეწა სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამები, გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა, რაც სწორი მენეჯმენტის და ხარისხიანი სერვისის შედეგია. ამ ეტაპზე დასრულდა ცენტრალური შენობის ფასადის რეაბილიტაცია. მთლიანად განახლებულია „ბ“ ბლოკი; დარჩენილია გაგრილების სისტემის მონტაჟი და პარალელურად მიმდინარეობს ცენტრალური შენობა-ნაგებობის შიდა სივრცის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, მიმდინარეობს სასწავლო სივრცეების სადემონტაჟო და სარემონტო სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს თბილისის განვითარების ფონდი პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში ახორციელებს.

ეროვნული სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები და ეზოს სრული რეაბილიტაციის დასრულება 2024 წლისთვის იგეგმება.

- დიღმის მასივსა და გლდანის რაიონში მდებარე ბიბლიოთეკების სარეაბილიტაციო სამუშაოები

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორთან, ნინია მაჭარაშვილთან ერთად, დიღმის მასივსა და გლდანის რაიონში მდებარე ბიბლიოთეკების სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

ლადო ასათიანის სახელობის №6 და აკაკი ბაქრაძის სახელობის №18-ე ბიბლიოთეკებში მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო პროცესი ასევე დაათვალიერეს საკრებულოში გლდანის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა კონსტანტინე ზარნაძემ, დიდუბის რაიონის გამგებელმა ვლადიმერ ძნელაძემ და გლდანის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ბესო კალაძემ.

დიღმის მასივში მდებარე ბიბლიოთეკაში შიდა სივრცის გამაგრება დასრულებულია და სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. გლდანის რაიონში მდებარე ბიბლიოთეკაში კი ცენტრალური, ინდივიდუალური და საბავშვო სივრცეების რეაბილიტაციის პროცესი დასრულებულია და უახლოეს მომავალში ამ სივრცეების მოწყობის სამუშაოები დაიწყება.

- ინტერნაციონალური მაარიფის სკოლების ახალი სასწავლო კამპუსი

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ტყემალაძემ და საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახაბერ ლაბუჩიძემ საქართველოში ინტერნაციონალური მაარიფის სკოლების ახალი სასწავლო კამპუსი დაათვალიერეს. შენობა, რომელშიც მაარიფის ახალი სკოლა და საბავშვო ბაღი

განთავსდება, ლისის ტბის მიმდებარედ, 5000 კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზე მდებარეობს.

სკოლის შენობას, რომელშიც სარემონტო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება, გიორგი ტყემალაძესთან და კახაბერ ლაბუჩიძესთან ერთად, თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ალი ქაან ორბაი სტუმრობდა.

ინტერნაციონალური მაარიფის სკოლების ახალი კამპუსი ოფიციალურად სექტემბერში გაიხსნება. სკოლა, რომელიც თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ტექნოლოგიებით აღიჭურვება, 645 მოსწავლეზეა გათვლილი.

დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე მაარიფის სკოლა სწავლებას 2 ძირითადი პროგრამით: ქართული ეროვნული და კემბრიჯის ინგლისურენოვანი საერთაშორისო პროგრამებით წარმართავს. უახლოეს მომავალში კი მათ ასევე საერთაშორისო IB პროგრამა შეემატება.

- ### ახალი ბაღების მშენებლობა

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი კახაბერ ლაბუჩიძე, თბილისის მერის მოადგილე კახა გულედანი და საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი გოგი ჩიქოვანი ისნის რაიონში მდებარე ბაღების მშენებლობის პროცესს გაეცნენ.

N30 საბავშვო ბაღი ნავთლუღში, ლობჟანიძის ქუჩაზე მდებარეობს, რომელიც მომავალი წლიდან 350 აღსაზრდელს მიიღებს, ხოლო ვაზისუბნის III მიკრო რაიონის II კვარტალში, აშოტ კურაპალატის ქუჩაზე მშენებარე ბაღის მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდება, რის შემდეგაც ის შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვება და 300 აღსაზრდელს მიიღებს. აღნიშნული ბაღების მშენებლობა დასასრულისკენ მიდის და რამდენიმე თვეში მისი სრულ ექსპლუატაციაში მიღება იგეგმება.

აღსანიშნავია, რომ ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე კიდევ ერთი, N109-ე საბავშვო ბაღი შენდება. ეს საკმაოდ მასშტაბური პროექტია, რადგან საჯარო ბაგა-ბაღი 20-ჯგუფიანი იქნება და 700 აღსაზრდელს მოემსახურება. მისი გახსნა 2024 წლის ბოლომდეა დაგეგმილი.

ახალი ბაღები აკმაყოფილებს ბავშვთა უსაფრთხოების ადგილობრივ თუ საერთაშორისო სტანდარტს და ყველა პირობაა შექმნილი საგანმანათლებლო დაწესებულების სათანადო ფუნქციონირებისათვის.

- ### სამგორში მდებარე N130 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის გახსნა

თბილისის მერი კახა კალაძე, თბილისის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე, საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, სამგორის მაჟორიტარი წევრი რევაზ სოხაძე და საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი გოგი ჩიქოვანი სამგორში მდებარე N130 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის გახსნას დაესწრნენ.

N130 საბავშვო ბაღში 300-მდე აღსაზრდელი მიიღებს სკოლამდელ განათლებას. საბავშვო ბაღი აღჭურვილია ბავშვთა უსაფრთხოების ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; შენობაში დამონტაჟებულია უახლესი

ხანძარსაწინააღმდეგო და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები, დანერგილია სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემა - HACCP; ბაღი ადაპტირებულია შშმ პირთათვის, დამონტაჟებულია შშმ და სამზარეულოს ლიფტები, მოწყობილია ღია ტერასა მეთოდური აქტივობებისათვის. ბაღს აქვს გამწვანებული ეზო თანამედროვე სათამაშო მოედნებით, საბავშვო ატრაქციონებითა და საჩრდილობლებით, ასევე, მზის ენერგიაზე მომუშავე გარე განათების სისტემით.

ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში მდებარე ბაღის ძველი შენობის ნაცვლად ახალი, თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღის აშენება 3 695 703 ლარი დაჯდა.

ახლად აშენებული საბავშვო ბაგა-ბაღის გახსნის ღონისძიებას მერის მოადგილე კახაბერ გულედანი, პარლამენტის წევრი სოზარ სუბარი, სამგორის რაიონის გამგებელი კახა სამხარაძე და მისი მოადგილე სოსო ბურდულაძე დაესწრნენ.

- ქალაქ თბილისის №163-ე საჯარო სკოლის დათვალიერება

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ტყემალაძესთან და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორთან ლევან სუხიტაშვილთან ერთად, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №163-ე საჯარო სკოლა დაათვალიერა, რომელიც ახლადრეაბილიტირებულია და ინფრასტრუქტურულად განახლებული.

საკრებულოს თავმჯდომარესთან, ასევე სამგორის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ რევაზ სოხაძესთან ერთად, სამგორის რაიონში მდებარე ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178-ე საჯარო სკოლის ადმინისტრაციასთან შეხვედრა გაიმართა.

ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინირებული თანამშრომლობით, კვლავ პრიორიტეტულად რჩება სკოლების მოდერნიზება, ტექნიკური ინვენტარიზაცია და ინფრასტრუქტურული მოწესრიგება, რათა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სწავლის და მუშაობის სათანადო პირობები შევუქმნათ.

- აკაკი ბაქრაძის სახელობის მე-18 ბიბლიოთეკას სრული რეაბილიტაცია

კახაბერ ლაბუჩიძემ, გლდანის რაიონში „მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების" აკაკი ბაქრაძის სახელობის მე-18 ბიბლიოთეკის ახლადრეაბილიტირებული შენობა თბილისის მერთან, კახა კალაძესთან, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ტყემალაძესთან, გლდანის მაჟორიტარ დეპუტატ კონსტანტინე ზარნაძესთან, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსთან, ირაკლი გვილავასთან და მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორთან, ნინია მაჭარაშვილთან ერთად დაათვალიერა.

ბიბლიოთეკის შენობა კაპიტალურად შეკეთდა, განახლდა ინფრასტრუქტურა და გაფართოვდა წიგნადი ფონდი. ფილიალი თანამედროვე სტანდარტთან შესაბამისობაშია. ბიბლიოთეკა სრულად არის აღჭურვილი, რათა უმასპინძლოს წარდგენებსა და სხვადასხვა სახის სახელოვნებო თუ საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტებს. განახლებული ბიბლიოთეკის პროექტის ავტორები არიან - არქიტექტორები ზაზა იაშვილი და სოფო მაჭავარიანი.

- ღონისძიება „აფხაზეთი - მეხსიერების მუზეუმი“

კახაბერ ლაბუჩიძის თბილისის მუზეუმების გაერთიანებასთან და გამომცემლობა „ინტელექტთან“ ერთად, თბილისის მუზეუმების გაერთიანების ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში პოეტ გენო კალანდიას ახალი წიგნის „აფხაზური რვეულიდან“ პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიება სოხუმის დაცემის ტრაგიკული დღის (27 სექტემბრის) სიმბოლური გამოხმაურება იყო, სადაც ისაუბრეს მწერლის, პოეტისა და ჟურნალისტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, მრავალი ჯილდოს მფლობელი ხელოვანის შემოქმედებაზე და მის ახლადგამოცემულ წიგნზე.

„აფხაზური რვეულიდან“ გენო კალანდიას, ქართველი პოეტის, ინტელექტუალისა და საზოგადო მოღვაწის ოდისეაა, ცხოვრების ერთგვარი შეჯამება, რომელიც ბოლო წლებში იქმნებოდა ჩანაწერებისა და დოკუმენტური ნოველების სახით.

- საპატიო თბილისელების დაჯილდოების ცერემონია

სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში 2023 წლის საპატიო თბილისელები დააჯილდოვეს. დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ თითოეულ მათგანს თბილისის სიმბოლური გასაღები და სიგელი გადასცა. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე, საკრებულოს და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრები და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

2023 წელს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება 26 ადამიანს მიენიჭა: არჩილ ხომასურიძეს (რეპროდუქტოლოგი, ენდოკრინოლოგი, აკადემიკოსი); ჟანრი ლოლაშვილს (თეატრისა და კინოს მსახიობი, მხატვარი, საქართველოს დამსახურებული არტისტი); ნუგზარ უბერს (ექიმი, პედიატრი); ალექსანდრე კოტორაშვილს (ფოტორეპორტიორი); რამაზ გახოკიძეს (მეცნიერი, პედაგოგი, ქიმიკოსი); გია ბაღაშვილს (მუსიკოსი, ფოლკლორისტი, ხელოვნებათმცოდნე); გურანა გრიგორაშვილს (ექიმი, მეცნიერი და მკვლევარი); ნანა ფაჩუაშვილს (თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი); თამაზ მაღლაკელიძეს (ექიმი-პულმონოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი); ამირან ქორიძეს (ექიმი, მეან-გინეკოლოგი, მეცნიერი); გურამ ახალაიას (მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე); მურმან ჯინორიას (თეატრისა და კინოს მსახიობი); ლია სტურუას (პოეტი); ლეო ანთაძეს (თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი); იმედა კახიანს (კინომსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი); იამზე დოლაბერიძეს (მოცეკვავე, საქართველოს სახალხო არტისტი); ლევან ლაღიძეს (მხატვარი); დავით მაღრაძეს (პოეტი, საზოგადო მოღვაწე); რადიშ თორდიას (მხატვარი, პედაგოგი, საქართველოს სახალხო მხატვარი); ავთო მახარაძეს (თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი); ზურაბ ლეჟავას (სპორტსმენი, მწვრთნელი, კარატეს ქართული სკოლის ფუძემდებელი); მანანა ახმეტელს (მუსიკათმცოდნე, პედაგოგი); მამუკა ჩარკვიანს (მუსიკოსი, კომპოზიტორი); ევა ბაბალაშვილს (მხატვარი, მწერალი); რევაზ არველაძეს (ენერგეტიკოსი, ინჟინერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი); ზაზა ავალიანს (ექიმი-ფთიზიატრი).

- ახლადგამოცემული წიგნების პრეზენტაცია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა „სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ბიბლიოთეკა“ - ორტომეულის პრეზენტაცია, რომელსაც თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე ესწრებოდა. წინამდებარე გამოცემა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობას შორის ურთიერთთანამშრომლობის პროექტის ფარგლებში განხორციელდა. პროექტის მიზანია, „სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ შექმნა, რაც ამ ეტაპზე გულისხმობდა 2 წიგნის გამოცემას. ღონისძიების ბოლოს გაიმართა თსუ-ს ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებული ესეების კონკურსის - „ერთი დღე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან (1918-1921)“, გამარჯვებულების დაჯილდოება. სტუდენტებს სერტიფიკატები და საჩუქრები გადასცეს.

- საკრებულოში „60+ კლუბის“ წევრების ნამუშევრების გამოფენა

თბილისის საკრებულოში „60+ კლუბის“ წევრების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, რომელმაც ყველა თაობის წარმომადგენელი გააერთიანა. მათ გვიჩვენეს, რომ "ასაკი მხოლოდ ციფრებია". რომ ისინი ქმნიან, სწავლობენ, აქტიურად იღვწიან. "60+ კლუბი" თბილისის მუნიციპალური სერვისია და განკუთვნილია 60 წლისა და მეტი ასაკის ადამიანებისთვის.

- მხატვარ ბასე ჯაფაროვას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება

თბილისის საკრებულოში მხატვარ ბასე ჯაფაროვას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომლის ფარგლებშიც ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ღონისძიება ქურთული ასოციაცია „რონაის“ ინიციატივით გაიმართა. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კახაბერ ლაბუჩიძემ, რომლის განცხადებით, ბასე ჯაფაროვა პირველი ქურთი მხატვარი ქალია საქართველოდან, რომელსაც მსოფლიო მასშტაბით უდიდესი აღიარება აქვს მოპოვებული. ბასე ჯაფაროვას ნახატებში კარგად არის გადმოცემული სიყვარული საქართველოსა და თბილისისადმი. მხატვარი ძირითადად პორტრეტებსა და პეიზაჟებს ქმნიდა. მის ნამუშევრებში მეტწილად ასახულია თემის ტრადიციები და კულტურა. ბასე ჯაფაროვას ფერწერული ტილოები სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების მოყვარულთა კერძო კოლექციებში ინახება.

- ჰოლოკოსტის დღესთან დაკავშირებით გამართული კონფერენცია

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე ქართულ-ებრაულ სკოლა „ორ ავნერ“-ში ჰოლოკოსტის დღესთან დაკავშირებით გამართულ კონფერენციას დაესწრო. კონფერენცია, რომელიც ისრაელის საელჩოსთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისრაელის ცენტრთან პარტნიორობით გაიმართა, მიზნად ჰოლოკოსტის შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას ისახავს.

კონფერენციაზე მიწვეულ სტუმრებს მიესალმა და სიტყვით მიმართა თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კახაბერ ლაბუჩიძემ. დეპუტატმა ჰოლოკოსტის შესახებ ისაუბრა და განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანია, რათა ეს უმძიმესი ფაქტი აღარასდროს განმეორდეს.

- შეხვედრა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტებთან

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა და დედაქალაქის მერიისა და წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობის სპეციფიკა, თბილისში გატარებული რეფორმები და ძირითადი პრიორიტეტი დეტალურად გააცნო.

კომისიის თავმჯდომარემ სტუმრებს პრეზენტაციის სახით განათლებისა და კულტურის კომისიის მუშაობის პრინციპები გააცნო, რაც ბიბლიოთეკების და მედიათეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებისა და სასახლის, ასევე თბილისის მუზეუმების გაერთიანების, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საქმიანობას გულისხმობს და ამასთანავე, სკოლების სახელდებას, მემორიალური დაფების

განთავსებას და პარტნიორ უწყებებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების პროცესს მოიცავს.

- სკოლის მოსწავლეების ვიზიტი საკრებულოში

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე და საკრებულოს წევრი ვლადიმერ ბოჟაძე ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის და 300 არაგველის სახელობის ქალაქ თბილისის 75-ე საჯარო სკოლების მოსწავლეებს შეხვდნენ.

კახაბერ ლაბუჩიძე მოსწავლეებს განათლებისა და კულტურის კომისიის მუშაობის მიმართულებებსა და პრინციპებზე, მათ შორის, ბიბლიოთეკების და მედიათეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებისა და სასახლის, მუნიციპალური პანთეონების, ასევე თბილისის მუზეუმების გაერთიანების, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საქმიანობის შესახებ, სკოლების სახელდებასა და პარტნიორ უწყებებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების პროცესის მნიშვნელობაზე ესაუბრა.

- საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში MAGIS ოლიმპიადის დაჯილდოების ცერემონიალი

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში MAGIS ოლიმპიადის დაჯილდოების ცერემონიალს დაესწრო, სადაც საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების მნიშვნელობაზე, ინტერნაციონალური მაარიფის სკოლების საქართველოში საქმიანობაზე და მათი მხრიდან მომავალ თაობაში წიგნიერების ამაღლებისთვის წინგადადგმულ ნაბიჯებზე ისაუბრა.

როგორც კახაბერ ლაბუჩიძემ აღნიშნა, საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება მოსწავლეთა წასახალისებლად და მოტივაციის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია. ამ მხრივ, ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში საკმაოდ წარმატებულად პოზიციონირებს, ხოლო თურქეთის მაარიფის ფონდი საქართველოში ორმოცდაათი ათას მოსწავლეზე მეტს მაღალი ხარისხის განათლებას სთავაზობს.

ოლიმპიადაში 400-ზე მეტი სკოლის 750-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ოლიმპიადა საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან მემორანდუმის ფარგლებში ჩატარდა, რომლის გამარჯვებულებს ფულადი პრემია და პლანშეტები გადაეცა.

- მუზეუმების საერთაშორისო დღე

მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე და საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი მარიკა დარჩია თბილისის მუზეუმების გაერთიანების გენერალურ დირექტორს, ნინი სანადირაძეს, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის კურატორს, მაკა კვარაცხელიას და მუზეუმების გაერთიანების წარმომადგენლებს - ირმა დოლიძესა და თამარ გურგენიძეს შეხვდნენ. გიორგი

ტყემალაძემ და საკრებულოს წარმომადგენლებმა მათ ევროპის მუზეუმების ფორუმზე გამარჯვება მიულოცეს.

- ### გენო კალანდიას მემორიალური დაფის გახსნა

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ისნის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახაბერ ლაბუჩიძემ, პოეტ გენო კალანდიას მემორიალური დაფა გახსნა. ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გენო კალანდია თბილისში, ისნის რაიონში, მეტეხის ქ. N16-ში ბოლო ათეული წლების განმავლობაში ცხოვრობდა. მისი სახელის უკვდავსაყოფად, სახლის ფასადზე, სადაც პოეტმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა, მემორიალური დაფა განთავსდა.

- ### ქართულ-ებრაული მეგობრობის ხეივანი

ქართულ-ებრაული სკოლის „ორ ავნერი“ და თბილისის 65-ე საჯარო სკოლის ინიციატივით ქართულ-ებრაული მეგობრობის ხეივანი გაიხსნა, რომელსაც საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე და სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე ესწრებოდნენ.

ღონისძიება ქართულ-ებრაული სკოლის დირექტორმა, გიორგი მომცელიძემ გახსნა და ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა.

დედაქალაქის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახაბერ ლაბუჩიძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ქართულ-ებრაული ურთიერთობის 26-საუკუნოვანი ტრადიციების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

ღონისძიების ბოლოს მოწვეულმა სტუმრებმა, სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ქართულ-ებრაული მეგობრობის ხეივნის გამწვანებაში მიიღეს მონაწილეობა.

- ### ლიტერატურული კონკურსი „ვილაპარაკოთ აფხაზეთზე“

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე, პროექტის „ვილაპარაკოთ აფხაზეთზე“ ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოებასა და ფინალისტების მიერ შექმნილი ლიტერატურული ნამუშევრების კრებულის პრეზენტაციას დაესწრნენ.

„ვილაპარაკოთ აფხაზეთზე“ აფხაზეთის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოსა და მწერალთა სახლის ერთობლივი ლიტერატურული კონკურსია, რომლის ინსპირაციაცაა წიგნი „ვილაპარაკოთ. 33 ამბავი აფხაზეთზე“ (პროექტის ავტორი: ირაკლი შამათავა; რედაქტორ-შემდგენელი - ინა არჩუაშვილი, ირაკლი შამათავა, კონსულტანტი: ირმა ბერიძე; მხატვარ-ილუსტრატორი: მამუკა ტყეშელაშვილი; დიზაინერი თამაზ ჩხაიძე).

კონკურსის მიზანია ახალგაზრდა თაობას გავუზიაროთ ცოდნა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, მოვუყვეთ მათ ისტორიული, კულტურული თუ სოციალური კონტექსტის შესახებ, გავაცნოთ ის ღირებულებები და ფასეულობები, რაც საუკუნეების განმავლობაში ამყარებდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს.

- ლიტერატურული კონკურსი „ვწერ თავისუფალ თემას“

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (SEU) გამართული კონკურსის "ვწერ თავისუფალ თემას" დაჯილდოების ღონისძიებას დაესწრო.

კონკურსი „ვწერ თავისუფალ თემას“, გია მურღულიას თაოსნობით დაფუძნდა და საქართველოს მასშტაბით, მეათე-მეთორმეტე კლასის მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი. კონკურსის მიზანია განსაკუთრებული ჰუმანიტარული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა, მათი პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია.

კონკურსის ფარგლებში გამოვლინდა I, II, III ადგილის გამარჯვებულები და ჟიურის სიმპათია. გამარჯვებული ნაშრომები სამომავლოდ ასევე გამოქვეყნდება კრებულში.

დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრი გიორგი ამილახვარი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU-ს დამფუძნებელი და რექტორი გია კავთელიშვილი და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე.

- "ჯეო სქაი სქულ"-ის ახალი შენობის მშენებლობა

კრწანისის რაიონში, "ჯეო სქაი სქულ"-ის ახალი შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით კაფსულის ჩადების ცერემონია გაიმართა, რომელზეც თბილისის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე სიტყვით გამოვიდა.

შენობა იქნება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, 500 მოსწავლეზე გათვლილი, ყველა სათანადო ინვენტარით და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი. სკოლას ექნება გამწვანებული ეზო, სპორტული დარბაზი, აუზი და ყველა პირობა საიმისოდ, რომ მოსწავლეებმა ღირსეულ პირობებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღონ ხარისხიანი განათლება.

სკოლის დამფუძნებელმა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, ზაურ ქორთოშიძემ და დირექტორმა მადონა ხარატიშვილმა, მოსწავლეებთან ერთად, სკოლის შენობის საძირკველში სიმბოლური კაფსული ჩადეს.

ღონისძიებას თბილისის საკრებულოს კრწანისის რაიონის მაჟორიტარი ლევან ჯაფარიძე, კრწანისის რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე, კომპანია „ჯეო სქაი“-ს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელი ლილი ქორთოშიძე, "ჯეო სქაი სქულ"-ის მოსწავლეები და პედაგოგები ესწრებოდნენ.

- საერთაშორისო კონფერენცია „არაფორმალური განათლების გამოწვევები“

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორი თიკა რუხაზე და საქართველოს პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ამილახვარი, რომელთაც ისაუბრეს არაფორმალური განათლების თანამედროვე

მეთოდებისა და მიდგომების, ასევე საერთაშორისო პროგრამების დანერგვისა და უცხოური გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: არაფორმალური განათლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების, ასევე საერთაშორისო პროგრამების დანერგვა და უცხოური გამოცდილების გაზიარება. კონფერენციის ფარგლებში, არაფორმალური განათლების სფეროს აქტუალურ საკითხებზე გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა სასახლის პედაგოგებს, და ქვეყნის მასშტაბით არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების და სხვადასხვა სახელოვნებო, სკოლისგარეშე და არაფორმალური განათლების ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს სხდომების მუშაობაში.

- “ნოვრუზის” დღესასწაული

თავისუფალ თეატრში, ასოციაცია "რონაის" ორგანიზებით, დედაქალაქის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, ადგილობრივი დიასპორების მიერ საერთო ქურთული დღესასწაული „ნოვრუზი“ აღინიშნა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ნოვრუზის დღესასწაული მიულოცა.

წლევანდელი ღონისძიება განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი იყო, რადგან მას ესწრებოდა 12 ქვეყნის დელეგაცია.

ნოვრუზის დღესასწაული აღინიშნება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, როგორც იეზიდთა, ისე სხვა რელიგიათა მიმდევარი ქურთების მიერ. დღესასწაული, რომელიც 20-დან 24 მარტამდე გრძელდება, გაზაფხულის ბუნიობის დროს ემთხვევა. მიჩნეულია, რომ ამ დღესასწაულის შემდეგ ბუნება გამოცოცხლებას იწყებს.

ნოვრუზის დღესასწაულს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის, საქართველოს საელჩოების საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები.

- მშობლიური ენის საერთაშორისო დღე თბილისის საკრებულოში

თბილისის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთობლივი ინიციატივით, მშობლიური ენის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

მშობლიური ენის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, 15 მეცნიერი და ხელოვანი დააჯილდოვეს: სალომე კაპანაძე, რიმა კინწურაშვილი, იზაბელა ოსიპოვა, კობა ჩოფლიანი, მექა ხანგოშვილი, ქამრან აფანდიევი, არმენ ბაიანდურიანი, შორენა თეთვაძე, ნონა ხანგოშვილი, თურგაი ვალიზადე, ირინა ჟამკოჩიანი, სალმან პირმამედოვი, ნატალია ლოგვინენკო, მარია ფილინა, ვალენტინა მარჯანიშვილი.

მშობლიური ენის საერთაშორისო დღე იუნესკომ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების, განვითარებისა და წარმოჩენის მიზნით 1999 წელს

დააწესა. საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2015-2016 წლებში შესაძლებელი გახდა საქართველოს ზოგიერთ სკოლაში მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენების სწავლება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1978 წელს განვითარებული მოვლენების შემდეგ დედაენის დღედ 14 აპრილი გამოცხადდა.

- ოკუპაციის დღე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახაბერ ლაბუჩიძემ, სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N163-ე საჯარო სკოლის X-XI კლასის მოსწავლეებთან და სკოლის მასწავლებლებთან ერთად ოკუპაციის მუზეუმი დაათვალიერა.

ღონისძიება, რომლის მიზანია ახალგაზრდა თაობა წარსულ ღირებულებებსა და ისტორიულ ფასეულობებს აზიაროს, საკრებულოს განათლებისა კულტურის კომისიის ინიციატივით ჩატარდა.

ღონისძიებას თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის და თბილისის 163-ე საჯარო სკოლის მასწავლებლები, მელანო აბჟანდაძე და ლეილა კორიფაძე ესწრებოდნენ. ვიზიტორებმა საგამოფენო დარბაზში განთავსებული ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და საქართველოში საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის 70-წლიანი მმართველობის (1921-1991) ამსახველი ფოტო, ვიდეო და დოკუმენტური მასალა დაათვალიერეს.

ღონისძიების მხარდამჭერი და პარტნიორია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.

- თბილისის ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალი

დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარესთან, კახაბერ ლაბუჩიძესთან ერთად, თბილისის ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალის გახსნას დაესწრო.

ფესტივალი თბილისის მერიის დაფინანსებით, დედაქალაქის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივითა და საკრებულოს მხარდაჭერით განხორციელდა.

თბილისის ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალი დედაქალაქში წელს პირველად ტარდება და მიზნად ისახავს, არასახელმწიფო დაფინანსების ქვეშ მყოფი თბილისის ბავშვთა ფოლკლორული გუნდების ხელშეწყობას, გააქტიურებას და მოტივაციას.

ბავშვთა ფოლკლორულ ფესტივალში წელს 10 გუნდი და 700-მდე ბავშვი მონაწილეობს, თუმცა სამომავლოდ გუნდების რაოდენობის გაზრდა იგეგმება.

თბილისის ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელები მაია მიქაბერიძე და დავით ცინცაძე არიან. ხოლო, ჟიურის კომპოზიტორი და მუსიკოსი - დავით ევგენიძე, გორის ქალთა გუნდის ხელმძღვანელი, თეონა ცირამუა, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენელი, ეთნომუსიკოლოგი, ნანა ვალიშვილი წარმოადგენდა.

განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივები

- პროექტი „ოპერა შენს ეზოში“

კახაბერ ლაბუჩიძე თბილისის მერიისა და საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ერთობლივი პროექტის - „ოპერა შენს ეზოში“ - ღონისძიებას დაესწრო. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის 170-ე საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი პროექტი თბილისის სხვადასხვა ლოკაციებზე განხორციელდა.

- სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმი საკრებულოს ისტორიულ შენობაში განთავსდება

თბილისის საკრებულოს ისტორიულ შენობაში თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმისთვის გამოყოფილი ტერიტორიის პროექტირება დაიწყო, 2023 წლის ბიუჯეტში კი თბილისის მუზეუმების გაერთიანებისთვის 350,0 ათასი ლარის ასიგნების ზრდა მოხდა.

თბილისის მუზეუმების გაერთიანების სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმი საბავშვო მწერლისა და პედაგოგის, თინათინ თუმანიშვილის თაოსნობითა და საქართველოს მთავრობის საგანგებო გადაწყვეტილებით, 1937 წელს ათარბეგოვის ქუჩაზე, საბავშვო ბაღის შენობაში დაარსდა. მუზეუმს საფუძვლად დაედო თინათინ თუმანიშვილის მუზეუმისთვის უსასყიდლოდ გადაცემული თოჯინებისა და სათამაშოების კოლექცია, საგვარეულო ნივთები და ბიბლიოთეკა. მუზეუმი 1958 წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის (მაშინდელ პიონერთა) სასახლეში გადავიდა, 1986 წლიდან კი ბინა დაიდო შავთელის ქუჩაზე მდებარე შენობაში.

მუზეუმი დამთვალიერებელთან და უამრავ მნიშვნელოვან ექსპონატთან ერთად 2012 წლიდან ელოდებოდა ახალ შენობას. *თბილისის ცენტრში, საკრებულოს ისტორიულ შენობაში განთავსებულ თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმს შემეცნებითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დატვირთვა ექნება როგორც ახალგაზრდა თაობისთვის, ასევე დედაქალაქის სტუმრებისათვის.*

მუზეუმის კოლექციაში დაცულია მხატვრული დედოფალები, მოძრავი მუსიკალური, ეთნოგრაფიულ და თანამედროვე თემაზე შექმნილი სათამაშოები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დედოფალები, ფერწერული ტილოები, ხის ექსპონატები, იშვიათი წარმოების ავეჯი, საავტორო თოჯინები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და ნაქარგობების იშვიათი კოლექცია.

სკოლის სახელდება

I. განათლებისა და კულტურის კომისიამ, სსიპ ქალაქ თბილისის N32 საჯარო სკოლისთვის აფხაზეთის ომის გმირის, ბაბუშერას აეროპორტში დაღუპული, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსნის, ბესარიონ კივილაძის და სამაჩაბლოს ომში დაღუპული, კაპიტნის, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსნის, ალექსანდრე თანდაშვილის სახელის მინიჭების შესახებ იმსჯელა. საანგარიშო წლის პერიოდში, სკოლაში გმირების სახელების უკვდავსაყოფად მათი მემორიალური დაფაც გაიხსნა.

II. თბილისის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის მხრიდან, საანგარიშო პერიოდში, ასევე განხილულ იქნა ქალაქ თბილისის №30 საჯარო სკოლისთვის ქართველი მწერლის, გურამ რჩეულიშვილის სახელის მინიჭების საკითხი. როგორც კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, აღნიშნული თხოვნით დედაქალაქის საკრებულოს №30-ე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭომ მიმართა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გურამ რჩეულიშვილი თბილისის №30-ე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია, აღნიშნული სკოლისთვის მისი სახელის მინიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იქნება. მწერლის ღვაწლი ფასდაუდებელია.მისმა შემოქმედებამ და ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ დიდი კვალი დაამჩნია ქართული პროზის განვითარებას. ის თავის თაობაში გამორჩეული ახალგაზრდა იყო, თავისი ცხოვრებისეული და მწერლური სტილით. შესაბამისად, უნდა დაფასდეს მისი წვლილი სამშობლოს წინაშე.

მემორიალური დაფები

განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ, საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა შემდეგი მემორიალური დაფების განთავსების საკითხი:

I. არამ ხაჩატურიანის მემორიალური დაფის განთავსების თხოვნით დედაქალაქის საკრებულოს საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საელჩომ მომართა. საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დიმიტრი უზნაძის ქუჩა #93-ში. შენობა თარიღდება XIX საუკუნის ბოლო პერიოდით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს ქუჩის განაშენიანებაში და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2007 წლიდან აქვს მინიჭებული. ცნობილი კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი აღნიშნულ მისამართზე 1906-1922 წლებში ცხოვრობდა;

II. ცნობილი კომპოზიტორის, თბილისის საპატიო მოქალაქის, საქართველოს სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, გია ყანჩელის მემორიალური დაფის განთავსების საკითხზე მსჯელობა;

III. აკადემიკოსისა და თბილისის საპატიო მოქალაქის, ალბერტ თავხელიძის მემორიალური დაფის განთავსება;

IV. თბილისის N61-ე საჯარო სკოლის ფასადზე ამავე სკოლის ყოფილი დირექტორის, საქართველოს სახალხო მასწავლებლის, ლავრენტ ჩხარტიშვილის მემორიალური დაფის განთავსების საკითხი;

V. ჯემალ ცერცვაძის ოჯახის წევრების და ხელბურთის ფედერაციის მხრიდან, არაერთხელ გამოითქვა ინიციატივა, ხელბურთელის საცხოვრებელ სახელზე მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე, თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პიროვნების გარდაცვალებიდან არ იყო 5 წელი გასული, მემორიალური დაფის განთავსება შესაძლებელი არ იყო. აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისში, კორნელი კეკელიძის №25-ში, 1972-2019 წლებში ცხოვრობდა ღირსების ორდენის კავალერი, სპორტის ოსტატი, „სპორტის რაინდის“, საქართველოს საუკუნის სპორტსმენის“ წოდებებისა და ქ. არვადის (ა.შ.შ., კოლორადი) „საპატიო მოქალაქის“ ტიტულის მფლობელი, მსოფლიო ხელბურთის ვარსკვლავი ჯემალ ცერცვაძე;

VI. კომისიის წევრებმა განათლების და კულტურის კომისიაში შემოსული კორესპონდენციის საფუძველზე, აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის მემორიალური დაფის განთავსების საკითხზე იმსჯელეს, რომელიც უახლოეს მომავალში გადაეგზავნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიას;

VII. განათლებისა და კულტურის კომისიაზე ქართველი ზოოლოგ-იქთიოლოგის, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვლადიმერ შარვაშიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ წარმოდგენილი წერილის თაობაზე იმსჯელეს, რომელიც უახლოეს მომავალში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიას გადაეგზავნება. ვლადიმერ შარვაშიძის მემორიალური დაფის განთავსება მოხდება ქალაქ თბილისში, გ. ტაბიძის N12-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, რომელშიც მეცნიერი 1961-2000 წლებში ცხოვრობდა. აღნიშნულ სახლს, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 01/10/2007 წლის #3/181 ბრძანების საფუძველზე, მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული საბჭო და კომისიები

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე აქტიურად მონაწილეობს დედაქალაქში მიმდინარე პროექტების გადაწყვეტის პროცესში და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შემდეგი კომისიებისა და საბჭოების წევრად არის წარმოდგენილი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის საუკეთესო წინადადების შესარჩევი საკონკურსო კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თეატრალური პროექტების განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სფეროს პროექტების განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული სფეროს პროექტების განმხილველი კომისია;
- პროგრამის - „შემოქმედებითი თბილისი“ - ფარგლებში წარდგენილი საკონკურსო განაცხადების განმხილველი კომისია.

კორესპონდენცია და მოქალაქეთა მიღება

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახაბერ ლაბუჩიძემ შეისწავლა და რეაგირება მოახდინა დაახლოებით 853 საკითხსა თუ განცხადება-კორესპონდენციაზე.

საანგარიშო პერიოდში, კახაბერ ლაბუჩიძე მოქალაქეებთან საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებდა სხვადასხვა ონლაინ პლატფორმას, მათ შორის - სოციალურ ქსელს. მოქალაქეებიის მიღება სისტემატურად ხდებოდა როგორც სამაჟორიტარო ბიუროში, ისე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

კახაბერ ლაბუჩიძის, როგორც ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრის საქმიანობის ანგარიში

კახაბერ ლაბუჩიძე, როგორც საკრებულოში ისნის რაიონის მაჟორიტარი, ინტენსიურად (ოთხშაბათობით) განიხილავდა მოქალაქეთა განაცხადებს, რომლებიც შეეხებოდა: ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის, ინფრასტრუქტურის, მიწის ნაკვეთის უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის საკითხებს. თითოეულზე, მაჟორიტარის მხრიდან, მყისიერად მომზადდა შესაბამის უწყებებთან შუამდგომლობა, რომლებიც დაიგზავნა საქალაქო სამსახურებთან, პროვაიდერ კომპანიებთან, კერძო სექტორთან.

საანგარიშო პერიოდში, მაჟორიტართან შეხვედრის აქტივობები იხილეთ პრეზენტაციის სახით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრის, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, ისნის რაიონის მაჟორიტარის, თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ წევრის კახაბერ ლაბუჩიძის

2022-2023 წ.წ ანგარიში

2022- 2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის საკრებულო

www.tbsakrebulo.gov.ge

განათლებისა და კულტურის კომისია	
ჩატარებული სხდომების რაოდენობა	განხილული საკითხი
14	**24**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომისია	
ჩატარებული სხდომების რაოდენობა	განხილული საკითხი
18	**492**
შენიშვნა: დავესწარი 18 სხდომას და განიხილა 458 საკითხი	

ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო”	
ჩატარებული სხდომების რაოდენობა	განხილული საკითხი
18	26
შენიშვნა: დავესწარი 15 სხდომას.	

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების სტატისტიკა		
ჩატარებული სხდომების რაოდენობა	განკარგულება	დადგენილება
15	**615**	**105**
შენიშვნა: დავესწარი 15 სხდომას.		

ᲝᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ

2023 წლის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდნენ და თბილისის მერიის სტიპენდია მიიღეს:

- 1256 სოციალურად დაუცველი სტუდენტი
- 740 მრავალშვილიანი ოჯახიდან და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტებმა
- 412 წარმატებული მაგისტრანტი

2022- 2023 წლის ანგარიში

კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში 180-ზე მეტი პროექტი დაფინანსდა:

- 35 საიუბილეო და შემოქმედებითი საღამო
- 35-მდე ფესტივალი და კონკურსი
- 10-მდე პროექტი დაფინანსდა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული

2022- 2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

პროგრამის „შემოქმედებითი თბილისის“ ფარგლებში დაფინანსდა:

- 15 საგამომცემლო
- 2 ვიზუალური ხელოვნების
- 9 დიზაინის და რეწვის მიმართულების პროექტი
- 17 მედია-ხელოვნების პროექტი
- 11 „ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობის“

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა „ისწავლე და დასაქამდი“ 2018 წლიდან წარმატებულად ხორციელდება

- 2023 წელს პროგრამით დარეგისტრირდა 3008 მოქალაქე

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

დედაქალაქში აქტიურად მიმდინარეობს კულტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ:

- ილია ჭავჭავაძის თბილისის სახლ-მუზეუმის სრული სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები
- მერაბ კოსტავას მუზეუმის სრული სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები
- გლდანში VIII მ/რ-ში აკაი ბაქრაძის სახელობის N18 ბიბლიოთეკა
- დიღმის მასივში ლადო ასათიანის სახელობის N6 ბიბლიოთეკა

2022-2023 წლის ანგარიში

- სხვადასხვა საჭიროებები დაუფინანსდა 16 სახელოვნებო სკოლას
- სახელოვნებო სკოლებში არამოთხოვნად სპეციალობებზე დაფინანსდა 745 მოსწავლე
- მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე 660 მოსწავლეს დაუფინანსდა სწავლის საფასური

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

განათლების და კულტურის კომისიის უშუალო ჩართულობით მემორიალური დაფების განთავსების საკითხზე ვიმსჯელეთ:

- გოჩა ჩოგოვაძის;
- ვლადიმერ შარვაშიძის;
- გია ყანჩელის;
- ჯემალ ცერცვაძის;
- ალბერტ თავხელიძის;
- არამ ხაჩატურიანის;
- ლავრენ ჩხარტიშვილის.

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

Tbilisi City Municipal Assembly

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პატიმრებისთვის საჩუქრად ჩაიტანა 50 წიგნი



2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

ისნის რაიონი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის კახა ლაბუჩიძის

2023 წლის ანგარიში

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

მის. ს. ჭრელაშვილის ქ. №1

2022-2023 წლის ანგარიში

ისნის რაიონის გამგეობის ბიუჯეტი	25,868,852	
ინფრასტრუქტურა გზების მოვლა-შეკეთება	3,900,000	(68 მის, 59,106 კვ.მ)
კეთილმოწყობის ღონისძიებები	6,945,00	(23 მის)
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	6,133,902	(170 მის)
სოციალური დახმარება	6,413,550	
მ/შ უფასო სასადილოებით მომსახურება	3,152,200	
კულტურულ, სპორტული და ახალგ. ღონისძ.	100,000	

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

პრობლემური საკითხების კატეგორია

1. ინფრასტრუქტურული / საყოფაცხოვრებო

2. სოციალური

3. სამართლებრივი

4. ქონებრივი

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

2022



2023

მაჟორიტარის წარმომადგენლობა მოემსახურა **912** მოქალაქეს, საიდანაც მაჟორიტარი დეპუტატი პირადად შეხვდა **385** მოქალაქეს

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

ჯანმრთელობის დაცვა და სოც. საკითხები

საკითხი	მოგვამრთა	გაეწია შუამდგ.	დაკმაყოფილდა	პროცესშია	უარი
ერჯერადი ფინანსური დახმარება	578	578	523	48	7
მედიკამენტებით უზრუნველყოფა	156	156	147	6	3
ოპერაცია	32	32	29	2	1
გამოკვლევა	62	62	60	0	2
თერაპიული მკურნალობა	25	24	21	1	3
სამშენებლო მასალები	9	9	1	7	1
ბინის ქირა	2	2	0	2	0
სარიტუალო მომსახურება	11	11	11	0	0
შეშა	3	3	0	3	0
ჯამი	878	877	792	69	17

2022-2023 წლის ანგარიში

ინფრასტრუქტურული საკითხები

საკითხი	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა
სახურავის გადახურვა / შეკეთება	9	9
ხის მოჭრა / გადაბელვა	4	4
სხვა ინფრასტრუქტურული საკითხები	6	6
ჯამი	19	19

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

საქალაქო სამსახურებთან შუამდგომლობა

საკითხი	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა
შპს “თბილსერვის” ჯგუფი	3	3
ტრანსპორტი და ურბანული განვითარება	8	8
ინფრასტრუქტურის განვითარება	8	8
მუნიციპალური ლაბორატორია	2	2
ჯამი	21	21

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის საკრებულო

www.tbsakrebulo.gov.ge

პროვაიდერი კომპანიები

საკითხი	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა
სს “თელასი”	6	6
შპს “თბილისი ენერჯი “	27	27
შპს “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი”	14	14
ჯამი	47	47

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საკითხი	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა
საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია	2	2
ჯამი	2	2

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

სხვა სახელმწიფო სტრუქტურები

საკითხი	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა
შინაგან საქმეთა სამინისტრო	1	1
სოციალური მომსახურების სააგენტო	3	3
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	3	3
ჯამი	7	7

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

გასული კორესპონდენცია

სულ: 972

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

ვიზიტი პრაღაში

Dohoda o vzájemné spolupráci mezi Městskou částí Praha 19 a čtvrtí Tbilisi – Isani

Preambule

Městská část Praha 19 - Kbely, Česká republika a část města Tbilisi s názvem Isani, Gruzínská republika, se dohodly na základech této dohody o partnerství.

Článek 1

Městská část Praha 19 - Kbely a čtvrť Isani zřizují tuto dohodou partnerství s cílem a touhou poznat se navzájem, navázat přátelské vztahy, usilovat o lepší porozumění a budování sjednocenějšího světa a lepší pochopení jejich národů.

Článek 2

Partneři budou usilovat o výměnu jejich názorů a zkušenosti ve všech aspektech obecního života. Partneři budou podporovat spolupráci a setkání zejména v následujících oblastech:

- Vzdělávání (školy a mateřské školy)
- Sport
- Umění, kultura a historie
- Cestovní ruch
- Společenský život
- Státní správa a samosprávа
- Ochrana přírody

Článek 3

Partneři budou informováni o konkrétních projektech spolupráce.

Článek 4

Tato dohoda vejde v platnost po jejím podpisu. Zůstane v platnosti, dokud se partneři nedohodnou jinak.

Datum:

Pavel Žďárský
starosta, Praha 19 - Kbely

Datum:

Nari Tinadzvili
starosta, Isani města Tbilisi

Městská část Praha 19

მემორანდუმი

2022-2023 წლის ანგარიში

საკრებულოს მაჟორიტარის ინიციატივით ან ჩართულობით დაგეგმილი პროექტები

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

განსაკუთრებული პროექტები

1. დიდი სკვერი - ვაზისუბნის დასახლებაში
2. მახათას მთის და ეფრემ ეშბას ქუჩის დამაკავშირებელი გზა
3. კედლების მოხატვა
4. სკეიტ-პარკი ისანში
5. პირველი ძაღლების სასეირნო სივრცე ვაზისუბანში
6. ჩანაცვლების პროგრამა
7. გაბრიელ სალოსის გამზირის- ახალი სანათებით ჩანაცვლება

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

ვაზისუბნის რენდერები

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

სკეიტ პარკი ვაზისუბანში

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

კედლების მოხატვა

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

მახათას მთის და ეფრემ ეშბას ქუჩის დამაკავშირებელი გზა

2023 წლის ანგარიში

2022-2023 წლის ანგარიში

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

გაბრიელ სალოსი- ახალი სანათებით ჩანაცვლება

- გამზირზე დამონტაჟებულია 171 ც. – 150V და 41 ც. – 250V ჯამში 215 ცალი „სოდიუმის“ ტიპის სანათები
- დამონტაჟებულია დაახლოებით 40 წლის წინ
- არის ძალიან მოძველებული და არ ყოფნის განათება
- შეიცვლება დიოდური ტიპის Led სანათებით

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

დამისამართება

N	ქუჩის ახალი სახელი	პროფესია	ქუჩის ძველი სახელი
1	ზურაბ სოტკილავას ქ.	ოპერის მომღერალი	სამასი არაგველის III შესახვევი
2	გურამ მელივას ქ.	რეჟისორი	არბოშიკის ქუჩა
3	თემურ ქევხიშვილის ქ.	ლოტბარი	სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩადა მასთან არსებული ერთი ჩიხი
4	ლავრენტი მანაგაძის ქ.	ექიმ-უროლოგი, აკადემიკოსი	ძმები ყურაშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩის მონაკვეთი
5	კრავაი ჯაყელის ქ.	სახელმწიფო მოღვაწე	აშოტ კურაპალატის ქ. მდებარე უსახელო ქ.
6	მედეა ღამბაშიძის ქ.	საზოგადო მოღვაწე	უძოს ქუჩა
7	რუსუდან მიქელაძის ქ.	დიპლომატი	დოესის ქუჩა
8	მარიამ აბრამიშვილის ქ.	პოეტი	ცუცხვათის ქუჩა
9	ქეთევან ლოსაბერიძის ქ.	მშვილდოსანი	ძევერას ქუჩა
10	დავით ციმაკურიძის ქ.	სპორტსმენი	მელაანის I შესახვევი, მასთან მდებარე უსახელო ქუჩა და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთი
11	მაია თომაძის ქ.	მომღერლი	ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთი
12	ვარლამ ჩერქეზიშვილის ქ.	საზოგადო მოღვაწე	სამგორის ქ. და ციხისძირის მონაკვეთი
13	გურამ აბრამიშვილის ქ.	ხელოვნებათმცოდნე	გარეკახეთის ქ.
14	ბესარიონ ნიჟარაძის ქ.	საზოგადო მოღვაწე	ალ.წურწუმიას შეს. და დედოფლისწყაროს I შესახვევი

ჩანაცვლების პროგრამა

2022-2023 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

მადლობა ყურადღებისათვის!

2022-2023 წლის ანგარიში

ისნის რაიონის სამაჟორიტარო ბიურო
მის. ს. ჭრელაშვილის ქ. №1
ტელ. 599 11 92 92
klabuchidzebiuro@gmail.com

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრი,
განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე,
ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრი,
თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი,
ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრი

კახაბერ ლაბუჩიძე